# ა(ა)იპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში შიგასაუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი

## მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე წესი აწესრიგებს ა(ა)იპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - აწსუ) შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო-პრაქტიკული ხასიათის პროექტების წარმოდგენის, განხილვის, შერჩევის, დამტკიცების და მონიტორინგის საერთო წესს.
2. საგრანტო პროექტების შერჩევისათვის კონკურსი გაიმართება ღიად და საჯაროდ, გამჭვირვალე და კონკურენტულ გარემოში, აწსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმისა და პრიორიტეტების გათვალისიწნებით, დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასებებზე დაყრდნობით.

## მუხლი 2. საგრანტო კონკურსის მიზნები:

აწსუ-ს საგრანტო კონკურსის მიზანია:

ა) უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო პოტენციალის წარმოჩენა და გაძლიერება, კონკრეტულ შედეგზე ორიენტირებული ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების განვითარება, საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოვების ხელშეწყობა;

ბ) საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და უმაღლესი განათლების დაწესებულებებს შორის ინტეგრირების ხელშეწყობა;

გ) ახალი ცოდნის გენერირება და კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ჩართულობა;

დ) საუნივერსიტეტო განვითარების პრიორიტეტების მიღწევის მეცნიერული მხარდაჭერა და რეალიზაციის ხელშეწყობა.

## მუხლი 3. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის ადმინისტრირებას ახდენს აწსუ;
2. აწსუ უზრუნველყოფს:

ა) კონკურსის გამოცხადებას;

ბ) საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენასა და საჯაროდ გამოცხადებას, აგრეთვე, საკონკურსო დოკუმენტაციისა და პროექტის შესრულების შუალედური და საბოლოო ანგარიშის ფორმების დამტკიცებას;

გ) საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის კონკურსის პირობების გაცნობისა და პროექტების მომზადების მიზნით კონსულტაციების ჩატარებას;

დ) საუნივერსიტეტო საკონკურსო კომისიის შექმნას, რომელიც იქმნება და მისი საქმიანობა რეგულირდება რექტორის ბრძანებით;

ე) გამარჯვებული საგრანტო პროექტების დაფინანსებას და მათი განხორციელებების მინიტორინგს ამ წესის შესაბამისად.

## მუხლი 4. კონკურსის ძირითადი ეტაპები

კონკურსის ეტაპებია:

ა) კონკურსის გამოცხადება;

ბ) კონკურსში მონაწილეობის შესახებ განაცხადების შეტანა;

გ) პროექტების შეფასება დამოუკიდებელ ექსპერტთა მეშვეობით;

დ) საკონკურსო კომისიის მიერ პროექტების შერჩევა და აწსუ-ს აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად წარდგენა;

ე) შერჩეული პროექტების დამტკიცება აწსუ-ს აკადემიური საბჭოს სხდომაზე;

ვ) დასაფინანსებლად შერჩეულ პროექტებში მონაწილე პერსონალთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

## მუხლი 5. საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსის მიმართულებები

1. საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსის ზოგადი (სავარაუდო) მიმართულებებია:
   ა) ქართველოლოგიური და ჰუმანიტარული მეცნიერებები;
   ბ) სამართლის, ბიზნესის, ეკონომიკური, განათლებისა და სოციალური მეცნიერებები;
   გ) მათემატიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიები;
   დ) ფიზიკური და ქიმიური მეცნიერებები;
   ე) სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები;
   ვ) საინჟინრო მეცნიერებები და მაღალტექნოლოგიური მასალები;
   ზ) დედამიწის შემსწავლელი, გეოგრაფიული და აგრარული მეცნიერებები;
   თ) საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის განვითარება და სასწავლო-სამეცნიერო პროცესების შემდგომი სრულყოფა;
2. ჩამონათვალის დაკონკრეტება არ გულისხმობს უნივერსიტეტის მხრიდან ისეთი საპროექტო განაცხადის დაფინანსებაზე უარის თქმას, რომელიც პირდაპირ და უშუალოდ არ მიესადაგება მე-5-ე მუხლის 1-ლ პუნქტში ჩამოთვლილ მიმართულებებს (ქვემიმართულებებს) ან განიხილება მიმართულებათა მიჯნაზე.
3. საუნივერსიტეტო პრიორიტეტებზე დაყრდნობით, შეიძლება ყოველწლიურად განხორციელდეს საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსის ზოგადი მიმართულებების დაზუსტება-დაკონკრეტება.

## მუხლი 6. კონკურსში მონაწილეობა

1. კონკურსანტს უფლება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ ერთ პროექტში.
2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ:
   ა) აწსუ-ს ძირითად აკადემიურ პერსონალს;
   ბ) აწსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მკვლევარებს, სპეციალისტებსა და კონსულტანტებს;
   გ) აწსუ-ს მოწვეულ აკადემიურ პერსონალსა და დოქტორანტებს (გარდა 1-ლი კურსის დოქტორანტებისა), მხოლოდ ძირითადი შემსრულებლისა და დამხმარე პერსონალის სტატუსით;
   დ) აწსუ-ს დამხმარე პერსონალს (მხოლოდ დამხმარე პერსონალის სტატუსით);

## მუხლი 7. პროექტის მართვა

1. პროექტის განხორციელებაში შიძლება მონაწილეობდეს:
   ა) პროექტის ხელმძღვანელი - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე, აწსუ-ს აკადემიური პერსონალი (სრული ან ასოცირებული პროფესორი) ან აწსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მკვლევარი, კონსულტანტი, რომელიც წარმართავს პროექტის მიმდინარეობას. სამეცნიერო ხელმძღვანელი პასუხისმგებელია, როგორც პროექტის განხორციელებასა და სამეცნიერო შედეგებზე, ისე

შუალედური და საბოლოო ანგარიშგების წარდგენაზე;

ბ) ძირითადი შემსრულებელი/შემსრულებლები - საქართველოს მოქალაქე, აწსუ-ს აკადემიური პერსონალი (სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორი), ასევე სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მკვლევარი, კონსულტანტი, სპეციალისტი, აწსუ-ს დოქტორანტი. გამარჯვებული პროექტის ცალკეული ეტაპის განხორციელების პროცესში „მოწვეულის“ სტატუსით შეიძლება ჩართულ იქნას საქართველოს ან უცხოეთის იმ სასწავლო თუ სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომელი, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

გ) დამხმარე პერსონალი - საქართველოს მოქალაქე, აწსუ-ს აკადემიური და დამხმარე პერსონალი (ასევე სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მკვლევარი, კონსულტანტი, სპეციალისტი), აწსუ-ს დოქტორანტი, რომელიც უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესში მასზე პროექტით დაკისრებულ ტექნიკური და ზოგიერთი საორგანიზაციო საკითხის გადაწყვეტას.

2. პროექტს შეიძლება ჰყავდეს თანადამფინანსებელი ორგანიზაცია. თანადაფინანსების მოცულობა უნდა იყოს პროქტის სრული ბიუჯეტის არანაკლებ 20%-სა.

## მუხლი 8. პროექტის ხანგრძლივობა

1. პროექტის მაქსიმალური ხანგრძლივობა შეადგენს არაუმეტეს 18 თვეს, ხოლო მინიმალური 6 თვეს. 12 და 18 თვიანი პროექტებისათვის მონიტორინგი განხორციელდება ყოველი 6 თვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, ხოლო 6-თვიანი პროექტებისთვის 3 თვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ

## მუხლი 9. პროექტის ბიუჯეტი

1. საგრანტო დაფინანსება 6-თვიანი პროექტებისთვის შეადგენს არაუმეტეს 6000 ლარისა, 12-თვიანი პოექტებისთვის – არაუმეტეს 12000 ლარისა, 18-თვიანი პროექტებისთვის – არა უმეტეს 18000 ლარის.
2. ძირითადი და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება ჯამურად შეადგენს პროექტის ბიუჯეტის არაუმეტეს 75%-სა, საბიუჯეტო კლასიფიკატორის მიხედვით გათვალისწინებული ხარჯების მოცულობა არანაკლებ 20%-სა (კაპიტალური ხარჯი, სხვა საქონელი და მომსახურება, მივლინება), ხოლო 5% ზედნადები ხარჯებისათვის. (თანხების აღნიშნული პროპორციით განაწილება ხარჯთაღრიცხვაში ვრცელდება თანადამფინანსებლის არსებობის შემთხვევაშიც).

## მუხლი 10. საგრანტო პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. გამარჯვებული პროექტის დაფინანსება ხორციელდება ტრანშების სახით. პირველი ტრანში განხორციელდება ავანსის სახით პროექტებში მონაწილე პერსონალთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმების შემდეგ. ყოველი მომდევნო ტრანში გადაირიცხება წინა საანგარიშო პერიოდის შედეგების შესრულების შესახებ სამეცნიერო-კვლევით ცენტრში, საგრანტო პროექტების კოორდინაციის უფროს სპეციალისტთან ანგარიშის წარდგენის და საუნივერსიტეტო კომისიის მიერ მისი დამტკიცების საფუძველზე. გრანტიორთა სახელფასო ანაზღაურება განხორციელდება ყოველთვიურად.
2. კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში, საგრატო პროექტის შესრულების მონიტორინგის განხორციელებისას მოიწვიოს დამოუკიდებელი ექსპერტები. კომისიის მიერ

საანგარიშო პერიოდის შესაბამისი მასალების უარყოფითად შეფასების შემთხვევაში უქმდება საგრანტო ხელშეკრულება და პროექტს უწყდება შემდგომი დაფინანსება.

### მუხლი 11. საკონკურსო პროექტების ფორმატი

1. განაცხადების (დანართი №1) მიღება მოხდება სამეცნიერო-კვლევით ცენტრში, რექტორის ბრძანებით შექმნილი სარეგისტრაციო კომისიის მიერ.
2. ინფორმაცია პროექტის შესახებ:
   ა) კრებსითი ინფორმაცია პროექტრის შესახებ (დანართი №2);
   ბ) პროექტის აღწერა (დანართი №3);
   გ) პროექტის შემსრულებლების პროფესიული ბიოგრაფია (დანართი №4);
   დ) პროექტის ბიუჯეტი (დანართი№5)
   ე) თანადამფინანსებელი ორგანიზაციის (არსებობის შემთხვევაში) თანხმობის წერილი პროექტში მისი მონაწილეობისა და თანადაფინანსების მოტივაციის არგუმენტირებით;

3. საბუთები უნდა ჩაბარდეს როგორც ნაბეჭდი ასევე ელექტრონული სახით CD-დისკზე.
4. საპროექტო წინადადება ელექტრონულად აიწყობა **A4** ფორმატის ფურცლის ზომებში შემდეგი მოთხოვნების დაცვით: გვერდის მარცხენა მხარეს დატოვეთ **2.5 სმ** სიგანის მინდორი, მარჯვენა, ზედა და ქვედა მხარეს - **1.5 სმ.** ტექსტის სტრიქონებს შორის ინტერვალი **1.0 (Single),** სათაურებსა და ტექსტს შორის, ცხრილებსა და ტექსტს შორის და სხვა მსგავს სიტუაციებში დასაშვებია უფრო მაღალი ინტერვალი; სასურველია, დოკუმენტის ქართული ვერსიის ტექსტურ ნაწილში **Sylfaen**-ის, **№11** ფონტის გამოყენება. (საკონკურსო განაცხადები, რომლებიც შესაბამისობაში არ იქნებიან მითითებულ მოთხოვნებთან, მოიხსნებიან კონკურსიდან).
5. განაცხადების მიღებისას წარმოდგენილი უნდა იქნეს პროექტის განხორციელებაში მონაწილე პერსონალის მითითებული აქტივობების დამადასტურებელი ყველა შესაბამისი დოკუმენტი.
6. საკონკურსო კომისიის წარდგინებით საგრანტო კონკურსს აცხადებს და საგრანტო კონკურსთან დაკავშირებულ ვადებს ადგენს რექტორი შესაბამისი ბრძანებით.

### მუხლი 12. შეფასების ეტაპები

1. განაცხადების მიღების დასრულების შემდეგ დოკუმენტაციები გადაეცემა საუნივერსიტეტო საკონკურსო კომისიას (აღნიშნული კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის ბრძანებით). კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს გრანტის მაძიებელი. ასევე იკრძალება აღნიშნული კომისიის წევრის მიწვევა გამარჯვებული პროექტის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე.

2. საკონკურსო კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა კომისიის შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით და რომელიც უძღვება კომისიის სხდომებს.

3. საკონკურსო კომისია შემოსული განაცხადების დამუშავების საფუძველზე პროექტების შესაფასებლად მოიძიებს დამოუკიდებელ ექსპერტთა კანდიდატურებს და გადასცემს მათ შესაბამის დოკუმენტაციებს. (საგრანტო კონკურსის საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე ექსპერტთა ვინაობა ანონიმურია).

4. გრანტის მაძიებლებს უფლება აქვთ დანართ №2 - ში მიუთითონ 2 არასასურველი ექსპერტის კანდიდატურა.

5. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია ექსპერტის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ კომისიისათვის ცნობილი გახდება, დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების აკადემიური

საბჭოს მიერ დამტკიცებამდე, კომისია უფლებამოსილია იმსჯელოს ექსპერტის მიერ გაკეთებული შეფასების გაუქმების შესახებ.

6. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია საგრანტო კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტები, თუ გამოვლინდება ინფორმაციის წყარო, რომელიც აბათილებს (აქტუალობას უკარგავს) განაცხადში წარმოდგენილ აქტივებს.

7. პროექტის საბოლოო შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. აქედან დამოუკიდებელ ექსპერტთა მაქსიმალური შეფასებაა 75 ქულა, ხოლო დანაჩენ 25 ქულას აფასებს საუნივერსიტეტო კომისია (დანართი №6). დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ გაკეთებული შეფასებების საფუძველზე, საკონკურსო კომისია განიხილავს მხოლოდ 65 და მეტი ქულით შეფასებულ პროექტებს და შეიმუშავებს რანჟირებულ სიებს. აღნიშნული სიებიდან უპირველესად რეკომენდაცია დასაფინანსემლად მიეცემა უმაღლესი შეფასების მქონე პროექტს და ა.შ. ქულების კლების მიხედვით უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან პროექტების დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხის ფარგლებში. შეფასების თანაბარი ქულების შემთხვევაში დასაფინანსებლად მიენიჭება დაბალბიუჯეტიან (უნივერსიტეტიდან მოთხოვნილი თანხის მიხედვით) საგრანტო პროექტებს.

8. საჭიროების შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია მოიწვიოს პროექტის ხელმძღვანელი პრეზენტაციისათვის, ასევე მიიღოს გადაწყვეტილება უნივერსიტეტის პრიორიტეტების გათვალისწინებით.

### მუხლი 13. ხელშეკრულების პირობები

1. აკადემიური საბჭოს მიერ დასაფინანსებლად დამტკიცებული სამეცნიერო პროექტის პერსონალსა და აწსუ-ს შორის ფორმდება ხელშეკრულება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) აწსუ იღებს ვალდებულებას განახორციელოს დაფინანსება და აწარმოოს მისი შესრულების მონიტორინგი;

ბ) სამეცნიერო პროექტით დაგეგმილი შედეგების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პროექტის შემსრულებელი/შემსრულებლები ვალდებულია მოახდინოს/მოახდინონ პროექტის დაფინანსებისათვის გაღებული თანხის აწსუ-ს ანგარიშზე დაბრუნება.

გ) გრანტის ფარგლებში შეძენილი ქონება წარმოადგენს უნივერსიტეტის საკუთრებას და გრანტის დასრულების შემდეგ გადაეცემა უნივერსიტეტს დადგენილი წესით.